

2
1952

ნ ი ა ნ ბ ი

№ 16 თბილისი აგვისტო 1952 წ.
გამომცემლობა „კომუნისტი“ წელი XXX ფანი 2 მან




გზაღმა დაშორა


ინგლისის მმართველი წოდები შემოთავაზებული არიან იმის გამო, რომ ამერიკამ ინგლისის მონაწილეობის გარეშე ჩაატარა „წყნარ ოკეანის კავშირის საბჭოს“ თათბირი გონივრულად.

წყნარ ოკეანის თათბირი და...

ნაზ. გ. ლომიძისა



1.



2.



3. აღელვებული ჯონ ბუდი

პრინციპული უხელოობა

პაშინგბონი, 1952 წ. 17 აპრილი

... რამდენ სისულელეს მოკრავ ყურს ამ გაგანა საპრინციპული წინასაარჩევნო მაქინაციების დროს! ალბათ იცის რომელმა კანდიდატმა რით ამოს უოლსტრიტელ ბატონებს, რათა რაც შეიძლება მეტი თანხა გამოსტყუოს ხმების შესასყიდად. დემოკრატი სენატორი, პრეზიდენტობის კანდიდატი მაკმაგონი ისე გაიტაცა პატრონების მაიმებლობამ, რომ დემოკრატების პარტიის ყრილობაზე განაცხადა: „გამოვჩნდები თუ არა თეთრ სახლში, პირველ ყოვლისა ვბრძანდები დაემზადებინათ სულ ცოტა ათასი წყალბადის ბომბი“...

როცა ბაქია სენატორი ასეთ ისტერიულ გუნებაზე დგება, რა კარგი იქნება თუ გაიხსენებს მასზე უფრო გამოცდილ მოსულელობის ნატრებაზე „აზრებს“ სწორედ იმ ქვეყნის მიმართ, ვისაც იგი ხსენებულ ბომბებს უმიზნებს. აი, ეს აზრებიც:

ამერიკის კონგრესის წევრმა მარტინ დაისმა 1941 წ. 24 ივნისს განაცხადა:

„ერთი თვის შემდეგ პიტლერი დაიპყრობს რუსეთს“... პიტლერმა 1941 წ. 3 ოქტომბერს წაიტრიალა:

„რუსეთი გატეხილია და ველარასოდეს ვერ აღადგენს თავის ძალებს“...

„ნიუ-იორკ ჯორნალ ამერიკენმა“ 1941 წ. 27 ივნისს „წაუტირა“:

„რუსეთი განწირულია, ამერიკა და ინგლისი უძლურნი არიან შეაჩერონ მისი სწრაფი შლა ნაცისტური ბლიცკრიგისაგან“...

თუმცა, მე რატომღა ვიწუხებ თავს, ვინ იცის კიდევ რამდენი გიჟი დაიბადება ქვეყანაზე!

ლონდონი, 1952 წ. 20 აპრილი

... კაფეში ვზივარ, ყავას ვსვამ. ზედმიწევნით მიჩერჩილებული ამინდია, წვიმს...

რა მწარე დაცინვა იცის ზოგჯერ ისტორიამ!

სიძველისაგან დაქექილ ინგლისურ წიგნს ვკითხულობ, სადაც მოთხრობილია ბრიტანეთის კოლონიების შესახებ. ინგლისელებს კოლონიებში თავი ისე ამაყად ევირათ, რომ უმიზეზოდ, მხოლოდ სპორტული თვალსაზრისით უჭერდნენ ხოლმე პანლურს ადგილობრივ მცხოვრებს და შეურაცხყოფილს ნება არ ჰქონდა ეჩივლა.

სამაგიეროს გადახდაზე აბა ვინ იფიქრებდა, მაგრამ იმავე სპორტული თვალსაზრისით ამერიკელმა ჯარისკაცმა პანლური ამოუკირო და ქიტლაყიც ზედ მიაყოლა ინგლისელ მოქალაქეს. გაღახულმა ინგლისურ სასამართლოს მიმართა.

— ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლისის პარლამენტის მიერ მიღებულ კანონის თანახმად, ინგლისში მყოფი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურენი ინგლისურ სასამართლოს იურისდიქციას არ ექვემდებარებიან! — უპასუხეს მას.

ინგლისელი მოქალაქე ამ პასუხს არ გაუკვირვებია: რა წესებიც ინგლისის კოლონიებში მოქმედებდა, იგივე წესები მოქმედებს აქ და აგრეთვე ამერიკის სხვა კოლონიებში!

ფალკენბერგი, 1952 წ. 23 აპრილი

ამერიკული ვისკი შემატყუეს, ცუდ გუნებაზე ვარ...

... ჰოლანდიელი ხელისუფალნი საოცარ ყურადღებას იჩენენ უმუშევართა მიმართ, რომელთა რიცხვი ამ პატარა ქვეყანაში 175.000 აღწევს. უმუშევრები ლეზულობენ ზედმიწევნით მცირე დახმარებას და მიღებული თანხა რომ დაეზოგოთ, ხელისუფლებამ აუკრძალა ზოგიერთი ხარჯის გაწევა.

ფალკენბერგის თემში, მაგალითად, როგორც უმუშევარს აგრეთვე მისი ოჯახის ყოველ წევრს აკრძალული აქვს კინოთეატრში შესვლა.

ლონისძიებათა გაფართოების რა დიდი შესაძლებლობა აქვთ ფალკენბერგელ ვაიხელისუფლებს! საკმარისია უმუშევრებს და მათი ოჯახის წევრებს ქაბა-სმა, ჩაცმა-დახურვა, გათბობა-დაბანვა-დარეცხვა სრულიად აუკრძალონ და სულ მალე მათი მონა-მორჩილნი „მოზრდილი“ თანხის პატრონები შეიქნებიან!



აი, ჩვენს სკოლაში პირველი ზარის ხმა გაისმა!

ბევრგან გუგუნებს ეს ზარი და ამაყად გიხმობთ, ჩემო პატარა მეგობრებო. ასევე ამაყად გხედებათ სკოლის დირექტორი, რადგან გარჯა არ დაიზარა და გარემონტებულ სასკოლო შენობაში, შეკეთებულ მეკრებზე იწყებს სასწავლო წელიწადს. ზოგან კი ჭარს ფახი-ფუხი გააქვს ისევე, როგორც ამ სკოლის დირექტორი ფახი-ფუხობდა, ფორმალურად წერდა „სარემონტო“ მიმართვებს სხვადასხვა ორგანიზაციების მისამართით, თავს იზღვევდა და საბოლოოდ როგორც კი პირველად მოგესალმათ და თავი ჩაიქნია, ჩაქნეული თავი ისევე დარჩა, სირცხვილით მაღლა ველარ იყურება, თვალს ვერ გისწორებთ.

თავი ამაყად მხოლოდ იმ სკოლის ხელმძღვანელს უქარავს, ვისთვისაც ახალი სასწავლო წელი გასული სასწავლო წლის დასასრულს დაიწყო. გასული სასწავლო წელი კი ჩვენს სკოლებს სახარბიელო როლი ჰქონდა. ყოველ ათასი მოსწავლიდან 135-ს საშემოდგომო გამოცდა გამოჰყვა. გამოცდაგამოყოლილ მოსწავლეთაგან შემდეგ კლასში რამდენი გადავიდა, ვერაფერს გეტყვით. თუკი ჩამორჩენილებს ყოველ რაიონში ისევე ეხმარებოდნენ, როგორც ამას ქუთაისის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამხ. თუმანიშვილი აკეთებდა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ გამოცდაგამოყოლილები ტანსაცმელს იმავე კლასის მერხებზე ცვეთენ.

მაგრამ ჯობია ისევ ახალი სასწავლო წლის დაწყების გმირებს დავუბრუნდეთ.

ველისციხეში ერთობ მაღალი სურვილი გამოიჩინეს სწავლების საკითხისადმი. პირველ კლასში მისაღებ ბავშვთა სია რომ შეადგინეს, შეძლებს საერთოდ წერა-კითხვის უცოდინართა აღმოჩენას შეუდგნენ:

— ანკეტები ჩამოვარიგოთ და შიგასეთი კითხვა შევითხოვთ: „იცით თუ არა თქვენ წერა-კითხვა?“ — თქვა ერთმა.

— კი მაგრამ, წერა კითხვა ვინც არ იცის, ანკეტას როგორ შეავსებს? — აღმოჩენა გაუქარწყლა მეორემ.

რაკი სხვა საშველი არ იყო, კარდაკარ ჩამოვლა და გამოკითხვა ამჯობინეს. დიდსა და პატარას, ყველას სათითაოდ ეკითხებოდნენ, იცოდა თუ არა წერა-კითხვა.

რიგი ახალდაბადებულ ჩვილებზე მიდგა.

— ბიჭო, იცი თუ არა შენ წერა-კითხვა? — ჰკითხეს ერთს.

— ი-ი-ი-ი... — შესტირა შეშინებულმა ჩვილმა.

— გოგონა, იცი თუ არა შენ კითხვა და წერა? — შეეკითხნენ მეორეს.

— ა-ა-ა-ა... — შეჰქანავლა მან.

— უუუუ შენ, — აზრი გამოთქვა აღწერი კომისიის ერთმა წევრმა. — ერთი „ი“-ს ამბობს, მეორე — „ა“-ს. „ია“-ს პირველ კლასში სწავლობენ, როცა წერა-კითხვა ჯერ კიდევ არ იციან. შევითანოთ სიაში!

— შევითანოთ. — დაეთანხმა მეორე და 1951-52 წელს დაბადებული ჩვილები წერა-კითხვის უცოდინართა სიაში შეიტანეს...

არანაკლებ საინტერესო იყო გორის რაიონის განათლების განყოფილების გამგის ამხ. რ. ჯაფიაშვილის მიმართვის ტურისტული თავგადასავალი.

საქმიანი შენიშვნა

გასტრონომის მაღაზიებმა გაყიდეს კვერცხი, რომლის დიდი პროცენტი ლაყვ გამოდგა.

ნაზ. ღონისა

სინამდვილიდან



წიწილა (გასტრონომის მმართველს ამხ. ა. ლალაშვილს) — მოთმინება უნდა გქონოდეთ, ძია ალექსანდრე, კვერცხის ფახად ჩვენი გაყიდვა განა შეიძლება?

ამხ. რ. ჯაფიაშვილმა მართალია გვიან, მაგრამ მაინც მიმართა თბილისის ოლქის განათლების განყოფილებას: „ხე-ტყის მასალის უქონლობის გამო გორის რაიონში სკოლების შენობათა კაპიტალური რემონტი შეჩერებულია“. თბილისის ოლქის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. თ. მათიაშვილმა მიმართვის დათარიღებიდან ოთხი დღის გასვლის შემდეგ რეზოლუცია გაიმეტა, ოლქის ინჟინერ ბაბუნაძეს მისწერა: „ეს ამბავი აცნობეთ ოლქის აღმასკომის საგეგმო განყოფილებას“.

ინჟინერი ბაბუნაძე უფრო „ოპერატიული“ აღმოჩნდა: გორელი განათლების განყოფილების გამგის მომართვა მხოლოდ ხუთ დღეს შეინახა და შემდეგ კი, ოლქის აღმასკომის საგეგმო განყოფილებას გადაუგზავნა სათანადო რეზოლუციით.

ეს ამბავი, ბაბუნაძის მიერ მიმართვის ლამაზი რეზოლუციით აჭრებდა, 14 აგვისტოს მოხდა. თბილისის ოლქის აღმასკომის საგეგმო განყოფილებაში მისვლამდე მიმართვას კიდევ რამდენიმე რეზოლუცია დასჭირდა და... მოგეხსენებათ რეზოლუციები „რა გამძლე“ მასალა სკოლების გასარემონტებლად!

ეს „უბრალო“ შემთხვევა გაკვირვებას აღარ გამოიწვევს, თუ იმ მოვლენასაც აღვნიშნავთ, რომ საქ. სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალურ მშენებლობის განყოფილებაში მხოლოდ 15 აგვისტოდან მოუვიდათ აზრად, რომ სკოლებს რემონტი ესაჭიროება. დაიწყეს იმის გამორკვევა, თუ რომელ ორგანიზაციას რომელი სკოლისთვის უნდა გაეკეთებინა რემონტი. არკვიეს, იძიეს და აღმოჩნდა, რომ ხარჯთაღრიცხვის უქონლობის გამო რესპუბლიკის შვიდ რაიონში სათანადო ბანკებმა უკვე ორი თვეა ახალი სკოლების მშენებლობის დაფინანსება კი შესწყვეტეს.

და ჩვენი რესპუბლიკის მრავალ სკოლაში თუ მაღალხარისხოვანი რემონტი მაინც გაკეთდა, ამაში აღნიშნულ განყოფილებას არაერთი ღვაწლი არ მიუძღვის.

ყოველივე ამის შემდეგ, განათლების სამინისტროს კაპიტალურ მშენებლობის განყოფილების მუშაკებს ერთი რამ მინდა გავახსენო: კაპიტალურ რემონტს მარტო სკოლათა შენობები როდი ექვემდებარება, ასეთს ზოგჯერ ზოგიერთი დაწესებულების შტატიც კი საჭიროებს!

ქარტის რაიონის სოფ. დუბის სკოლის თათბარზე იტყობიანად გამოსაცდელი ატესტაციის ჩატარება დროზე არ მოხერხდა.

მან, ა. კოპიაშვილისა



— ჩა იღალიანა ჩაგნი თიღუ, ატაჟმა სწორედ მის ჩაგარდა და ფაღალ მეთიღარა, როცა მასწავლებელს გავეთილა და ფაღალ ეკათხა!

სახარბილო პირობა

ზოგიერთმა სკოლამ სწავლის დაწყებამდე ვერ მოასწრო საკითხო რაოდენობის შესრულებას.



— ნუ გეჩინებთო, ვანო და ნიკო, მართალია ახლა ფეხზე დგომით იღებთო მაგრამ, საშავიროდ, როცა მომავალში რამეს დაწავებთ, ახლავე იღებ ფეხზე დგომას გამოცხადით, აღარ დაჯახებით!

გეოგრაფიული შემოხვევა

ქურორტის მოყვარულთა შორის არიან ახალი გეოგრაფიის დამიანები, რომელთაც ქობულეთი ყველა დასაყვენებელ ადგილს ღრეხიან. საქმის მქონე დამიანებისათვის გავაგონოთ, რომ ქობულეთისადმი ასეთ განსაკუთრებულ ღრეხას იწვევს მისი ბუნებრივობა.

ქობულეთის ლეგანა და კა, ასეთივე ზღვა და მისი უპირობაო პირველ შეხედვისთანავე დავარწმუნებთ, რომ მასზე ბევრით ადამიანის ზედა არ ზრუნავს და ამის გამო ზელოვანობის არაფერი ეტყობა.

ასეთ ქალაქში, ზელოვანობა, ელანობები უნდა სრულწინადადს უკუწეოთ ლეგანა, დასვენებელს გზას უნდა უნათლდეს. მაგრამ ქურორტის ზელოვანობა შესანიშნავად იცინა, რომ ქობულეთში ჩამოსული დამსვენებლები ყველაფერს ბუნებრივს ეტრფიან და განათება ბარდ მთავრის მიანდეს.

ოვო ბუნებრივობის სტილის აღრევის ცდები: გასულ წელს ამ სპი ტრანსფორმაციური ჩამოთრევის მსაფუძვლის მისამართულად ამ ტრანსფორმაციების დენი უნდა გაეშალა. და ქალაქი გაეშავებინა, მაგრამ ქურორტის ზელოვანობაში იტყება: განათებული ელანობის გარეშე ათასგვარაა შერჩეა იცის თავის მოყრა და დამსვენებლები შეწყუბდებიან. ტრანსფორმაციები ქურორტის დაყრეს და ეანეს დღეუფეს შესაქმლად. ტრანსფორმაციების რამდენიმე თვის კამდა ეანგი — ბუნების ეს ძლევაშისილი სტიტი, შედგე კი, ერთი მათგანი ისე გაფუქდა, რომ ბათუმს გაგზავნეს შესაკეთებლად.

ბუნებრივობისათვის ბრძოლის ფრონტზე ქობულეთის მფორ დღი მიშეცევა აქვთ: ზელოვანი აბანოს დღი ნაწილი გათუქეს და როგორც დამსვენებლებმა, ისე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, ზღვას, ბუნების ამ ძლევაშისილი სტიტის მიანდეს ტანის დაბანა.

ქობულეთში თითქმის ყველაფერი ბუნებრივია და ხელთი გაშენებულ ყველაფერს ბრძოა არაბუნებრივი შთაბეჭდილება არ დავტოვებინა, ძროხები შეუსიეს, ბუნების ეს ულამაზესი, უკეთესობისილი ქინალები და ზელოვანობის ეკალ ასპობინებენ.

შეთიხვედ და ისე არ გავცეფოს, თითქმის ქობულეთში არაბუნებრივი სულ არაფერი იცის. მოგახსენებთ: ქობულეთში არაბუნებრივი, უპირველესად ყოფილას, ის გახლავთ, რომ ძალიან მცირე პროცენტით სრულდება საქსრ მინისტრთა საქმის დადგენილება ამ ქურორტის კეთილმოწყობის შესახებ.

ეს რომ ნათელი გახდეს, ისევ ტრანსფორმაციების საკითხს დავუბრუნდეთ.

საქ. ქურორტის სამმართველოს დაჯავბული ჰქონდა 1952 წლის 1 აგვისტომდე გაეყვანა სინათლე ქურორტ ქობულეთში, ამ

საქმის ხელმძღვანელ სენეზულმა დაწესებულებამ ქობულეთში მიმდინარე ინჟინერი კუკაშვილი დროის გასაწევად გაატანა 200 000 მანეთს.

ინჟინერის გავილმა წაიკცევა ბათუმში, წაიკცევა საქმე აგარის ქურორტის სამმართველოში მუშაობა გაეწეოდა მისი უფროსი, მაშინვე ქურორტის მიანდეს და უკან წამა.

ქურორტის მიანდეს წავლების შემდეგ ელექტროკოსტო ქობულეთში, როგორც იქნა სამ ტრანსფორმაციური ჩამოთრევა და... დანარჩენი უკუგახსენეთ.

კიდევ ერთი ბუნებრივი მდგომარეობის შესახებ:

ქობულეთში რაიონი კეს ტემპით, მაგრამ მაინც მიწის ზედასხვა ობიექტების მუშაობა და რეონობა, ამ საქმიანობის ხელმძღვანელს აგარის ქურორტის სამმართველოში უნათია მწიფობელი ხასან ინბიშვილის არც ერთი ობიექტის სამშენებლო-სარეკონო გეგმა არ გააჩნია და ჩამოყა ამ საქმე სიტყვის ჩამოყვანდნა, იცინა:

— გეგმა როდისღინა და ვალზე ვერ შევსეროლო, ხომსჯიან, არა ჯობია ჯერ

ავაშენო და შემდეგ იმ ვადისა და თანხის მიხედვით დგენილი, რაც რეონობისა თუ მშენებლობის სტიტი?

ხასან ინბიშვილი ჩამოყვანდა კაცია, იცის ქობულეთის ქურორტის სამმართველოში მუშაობა და რეონობისა თუ მშენებლობის სტიტი?

ინაგარიშვილი გეგმა, რომ ქურორტის შესახებ გასამშენებლად 1,000 მანეთი, ზღვარში, იცა რეონობა და კეთილმოწყობა უნდა ყოფილიყო, სამმართველოში მუშაობა უკვე, აგარის ქურორტის სამმართველოში მუშაობა, რომ 150,000 მანეთის მსაგებობა და დადებულია 320,000 მანეთი.

ქურორტის სამმართველოდან წასვლის შემდეგაც ასე უწყობს ხელს ქურორტის სამმართველოს სახლის ეკთილმოსამართლის მმართველის ყოფილი მოადგილე ასთან გეოგრაფიკი.

ჩა ბუნებრივი ექნებოდა ქურორტ ქობულეთში, ანდენი არაბუნებრივობა ხელს რომ არ უშლდეს!

ინაგარიშვილი

ნეთი, იტრუნე ახლა, თუ კარგი ბიჭი ხარ, და რამდენიმე დღეში ანდენი თანხა აიღებ!

ისევ ერთი არაბუნებრივი მდგომარეობის შესახებ:

ქობულეთის ქურორტის დირექციამ საქმეანობის სამმართველოს წარუდგინა მოთხოვნა: განაცხადო 1952 წლისათვის მისთვის საჭირო ქვანახშირის შესახებ. ქობულეთში ბოლოდა საქმეანობის 140 ტონა ქვანახშირის, თხოვდა და მთლიანად მიიღო კიდევცა ა. წ. 1 მისისათვის.

მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ საქმეანობის ქობულეთის ქურორტის მმართველს წარუდგინა ახალი ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ქობულეთისთვის კიდევ 200 ტონა ქვანახშირის მიწოდებას 1952 წლისათვის.

— რად გვინდა ამდენი ქვანახშირი! — გაიკვირეს ქობულეთის მმართველი.

როგორც თუ რად გინდა, მაშ რად თხოვდებიან?! — გაკვირვებით უპასუხა საქმეანობის მმართველი.

შეიძინა ტელეფონების წყრილი, მიწერა მოწერა ქობულეთის, თბილისისა და ბათუმის შორის, ირეცეს, იძიეს და როცა ორი ობიექტი ენერგია დაიხარჯა, რამდენი ენერგია გამოყოფილ წყის შედეგად 200 ტონა ქვანახშირს შედგოდა, გამოიკცა, რომ აგარის ქურორტის სამმართველოდან მდგომარეობა მისტ ლეგანას ქობულეთთან შედებებულ ცალკე მოთხოვნად გაუგზავნა. გაუგზავნა და კიდევ 200 ტონა ქვანახშირი უთხოვია.

ყოველგვარი ბუნებრივობისა და არაბუნებრივობის გარეშე დგას ქობულეთში მომავლის, ქურორტ ქობულეთის ყოფილი დირექტორის მოადგილის ასთან გეოგრაფიის საქმე.

ქურორტის სამმართველომ რამდენიმე წლის წინათ ლენინის ქუჩაზე ააშენა 16-თაბიანი ბინა. ამ ბინის გვერდით დასახლებულმა ასთან გეოგრაფიკმა და მისმა ძმებმა ხელს მიკცეს ამ სახლის „გაგზავნის“ და მალე 16 ოთახიდან მხოლოდ 7 ოთახი დარჩეს. რაც ასლიან და მისი ძმები მიწის ფართობზე ავიწყლონ იყვნენ, აღინშნული სახლის ტერიტორია მხოლოდ მოკლე და თაყიან გენკარგულში მოაქცეს.

ქურორტის სამმართველოდან წასვლის შემდეგაც ასე უწყობს ხელს ქურორტის სამმართველოს სახლის ეკთილმოსამართლის მმართველის ყოფილი მოადგილე ასთან გეოგრაფიკი.

ჩა ბუნებრივი ექნებოდა ქურორტ ქობულეთში, ანდენი არაბუნებრივობა ხელს რომ არ უშლდეს!

ინაგარიშვილი



— მისწერე, ტატიკო, ყველა საგანში ფრადი და აწერე-ხე, ყველაზე საუკეთესო ფაქტობები მოაწერე და რადეხე და მოაგებებს, თბილისში დაგვითხროს!

საბავაპო დარლი



— უმ, მომწერე...
— ადგილი და ბილინის წადი, აქ ხომ საკურორტო სერონი თითქმის დამთავრდა.
— სეზონი კი დამთავრდა, მაგრამ ჩემი მივლინების ვალე ჯერ ან დამთავრებულა...



დიდად სანაქებო მასპინძლობა ვერ გამოიჩინა წელს კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის ადმინისტრაციამ გამოცდებზე მოსულ მომავალ სტუდენტთა მიმართ.

დღეების განმავლობაში. საათობით ისხდნენ სიცხისგან არაქათგამოცლილი, მოწყურებული ჩამბარებლები და ელოდნენ იმ სანეტარო წუთს, როცა ადმინისტრაცია კარს გაუღებდა და გამოცდას ავად თუ კარგად როგორმე ჩააბარებდნენ. (სურ. 1).

ეს მდგომარეობა შესაძლებელია მომავალ სტუდენტთა თავისებური გამოცდა იყო, იქნებ მათს გამძლეობას ამოწმებდნენ, მაგრამ საინტერესო ერთია: რატომ იმხანა არ ამოწმებენ ინსტიტუტის ადმინისტრაცია, რომ მათი ინსტიტუტის შენობის მრავალკვადრატულ მეტრ ფართობიან ეზოში რაინდულად დასეირნობენ ამავე ინსტიტუტის თანახმროშელთა ღორ იხვ-ქათამთა „ლეგიონები“. (სურ. 2). ამავე ეზოში გაშენებული ბადის ფანჯატურში ჰამაკში კოტრიალით განცხრომას ეძლევიან ამ ცხოველ-ფრინველთა პატრონები და ინსტიტუტში მოსული ახალგაზრდები კი ქუჩა-ქუჩა დადიან, ახლომხლო მცხოვრებლებს აწუხებენ, რომ ერთი პიქა წყლით პირი გაისველონ.

ჩიტაკორასკონდენტი

ბორჯომის რაიონის პატარა მიტარბის მოლოტოვის სახელმწიფო კოლმეურნეობის ერთ-ერთმა მწყემსმა 7 სულს ცხვარი მოიპარა და გაჰყიდა.

ეს ამბავი რომ ფერმის ბრიგადირმა კურტანიძემ გაიგო. გაშმაგდა, პირიდან სულ ცოფი ჰყარა და მწყემსს პასუხის-გებაში მიცემით დაემუქრა.

მწყემსმა გაიღიმა, მოლიმარ პირზე ხელი მიიღო და მშვიდად უთხრა:

— შენც სუ, მეც სუ, ბრიგადირო. თორემ იმ სასამართლოში შენს მიერ 42 სული ცხვრის გაყიდვის ამბავსაც ვიტყვიო.

რალას იზამდა კურტანიძე, დაინახა რომ მას ზურგზე მწყემსზე მეტი ცოდვა ჰქონდა აკიდებული და სიჩუხე არჩია.

ამ ამბავმა კოლმეურნეობის თავმჯდომარის არქიფო თედიაშვილის ყურამდე მიაღწია. არქიფო გაშმაგდა, პირიდან სულ ცოფი ჰყარა და კურტანიძეს პასუხისგებაში მიცემით დაემუქრა.

ბრიგადირმა გაიღიმა, მოლიმარ პირზე ხელი მიიღო და მშვიდად უთხრა:

— შენც სუ, მეც სუ, თავმჯდომარე. თორემ იმ სასამართლოში შენს მიერ 51 სული ცხვრის გაყიდვის ამბავსაც ვიტყვიო.

რალას იზამდა არქიფო თედიაშვილი. დაინახა რომ მას ზურგზე მწყემს-ბრიგადირზე მეტი ცოდვა ჰქონდა აკიდებული და სიჩუხე არჩია.


ნათქვამია, „ხელი ხელს ბასსო“, მაგრამ ისიც ვიცით, რომ პატარა მიტარბელ დიდ ქურდბაცაცებს ხელს მალე და აპანინებენ.

გ. სიმონიძე

საბუხპალტრო-სარაქიზიო აკოყანა

ხაშურის რაიონის სოფ. წაღვლის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგეს ს. ლომიძეს 22 ცხვარი და 37 ქათამი აკლია. იგი თავს იმართლებს. თითქოს ცხვრები და ქათამები კოლმეურნეთათვის ესესხებიან.

ამოცანა გვეყიხება: მარტო ს. ლომიძეს ჰქონდა ლომის მადი, თუ მისმა მფარველმა არტელის გამგეობამაც ცხვარ-ქათმის ბორცზე კბილის გაკვრა სცადა?



დღით

— უინული მივლეთ. ჩემო კარგო, მაგრამ ლიმონადი
ჯერ არა გვაქვს!



სადამთი

— ლიმონადი მივლეთ, ჩემო კარგო, მაგრამ უინული
ალაა გვაქვს!

რა ეწოდება?

ექიმმა გ. იობაშვილმა რედაქციას გადმოუგზავნა ქია-
თურის მალაზიში ნაყიდი პატარა წიგნი, გ. ცინცაძის „პლე-
ვრიტი“. ექიმი გ. იობაშვილი გაკვირვებული გახლდათ იმის
გამო, რომ აღნიშნულ წიგნს ყდაზე აწერია „პლევრიტი“, ხო-
ლო შიგ პირველი ფურცლიდან სარჩევამდე იმის ახსნა-გან-
მარტებაა, თუ როგორ უნდა მოუპაროს თავს ორსულმა
ქალმა.

ამ „ამანათის“ მიღების დღიდან ჯერ ერთი კვირაც არ
გასულიყო, რომ იმავე კითხურიდან ჩვენმა მკითხველმა შ.
ბუღაძემ გადმოგვიგზავნა იგივე წიგნი, იმავე სახელწოდება-
შინაარსით.

წიგნაკის ორივე ეგზემპლარი ზუსტად ერთნაირად არის
არეულ-დარეული. ყდაზე აწერია „პლევრიტი“, სარჩევში ჩა-
მოთვლილია პლევრიტის სხვადასხვა სახეობანი, ხოლო წიგნში
ცხდებით შემდეგ თავებს: „ორსულთა ნეფროპათია“, „ორ-
სულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა ეკლამპსია“, „ორსულთა
სიყვითლე და დეიდლის დისტროფია“, „ორსულთა კანის და-
ვლება ანუ დერმატოზი“ და სხვ. და სხვ.

წიგნაკში ჩამოთვლილი ლათინური სახელწოდებები ძა-
ლაუნებურად გვაფიქრებინებს: რა ეწოდება ლათინურად იმ
დაავადებას, რომელსაც ქართულად „უთაებოლობა“ ჰქვია?
იქნებ საქმედგამის სტამბის ადმინისტრაციამ გაგვეცეს პასუხი
ამ კითხვაზე?


დღით. მკითხველი

ახალციხის № 1 შახტის ადმინის-
ტრაციამ 4 დღეს სამუშაოს გაცდენი-
სათვის პასუხისგებაში მისცა ამავე შახ-
ტის მუშა პ. კარაპეტიათი. მოსამართლემ
ჩაახდელა კანონს და კარაპეტიათი პატი-
მრობაში აიყვანა. ექვს დღეს საპატი-
მროში „დასვენების“ შემდეგ გამოირ-
კვა, რომ კარაპეტიათი სხვა სამუშაოზე
ყოფილა გაგზავნილი თვით შახტის
ადმინისტრაციის მიერ და იმავე ადმი-
ნისტრაციას შეცდომით მიუტია პასუ-
ხისგებაში.

კარაპეტიათს თუ ოთხი დღის გაც-
დენისათვის საპატიმროში ჯდომა ეკუთ-
ვნის, რა ეკუთვნის ვაიადმინისტრატორს,
რომელმაც კარაპეტიათი ექვს დღეს
მოაცდინა, და მერე როგორ მოაცდინა?!

ახლა ახალციხეში ხშირად გაიგო-
ნებთ ასეთ ფრაზას:

— შახტის უფროსო ჩიტიშვილო, გა-
რედაც ხომ შახტი არ არის, ბნელა?



რედაქტორი კ ა რ ლ ი კ ა ლ ა ძ ე. საკლავიკო კოლმზია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,
ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირკო-იუმორისტული ჟურნალი „ნაიანი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1952 წ. 27/VIII. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შვკ. № 2072 გამოც. № 16. ტირ. 15.000. უფ. 04378.

ახლო მომავლის დიადობი

თბილისში განზრახულია აშენდეს რამდენიმე შრავალსართულიანი სახლი.

— შეხედე როგორ შეიცვალა ტექნიკა, წინათ თუ აგარაკიდან მატარებლით ჩავდიოდით თბილისში, ახლა ლიფტით ჩავდივართ!..



ქართული
წიგნების
კავშირთა
და
გამომცემთა
კავშირი

